ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის II კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ

2022 წლის II კვარტლის მონაცემებით ონის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 7 748,0 ათ. ლარი, ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისათვის იყო 6 273,9 ათ. ლარი საიდანაც ექვს თვეში გაიწერა 5 043,3 ათ. ლარი და მთლიანი დაზუსტებული ბიუჯეტის II კვარტლის გეგმამ შეადგინა 12 791,3 ათ. ლარი.

**შემოსულობები:** 2022 წლის II კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 7 748,0 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 5 933,9 ათ. ლარი (77%); - აქედან ქონების გადასახადის გეგმა 325,0 ათ. ლარი - ფაქტი - 823,0 ათ. ლარი (253%); დამატებითი ღირებულების გადასახადის გეგმა 2 671,8 ათ. ლარი - ფაქტი 2 837,3 ათ. ლარი (106%); გრანტების გეგმამ (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი) შეადგინა 4 579,7 ათ. ლარი - ფაქტი 2 082,8 ათ. ლარი (45%); სხვა შემოსავლებიდან პროცენტის გეგმა 19,7 ათ. ლარი - ფაქტი 50,9 ათ. ლარი (258%); დივიდენდებიდან შემოვიდა 30,0 ათ. ლარი; მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გეგმა 57,0 ათ. ლარი - ფაქტი 62,9 ათ. ლარი (110%);; შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან გეგმა 5,0 ათ. ლარი - ფაქტი 13,1 ათ. ლარი (262%); სანებართვო მოსაკრებლების გეგმა შეადგენდა 2,5 ათ. ლარს ფაქტი 6,0 ათ. ლარი (240%); ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა 4,8 ათ. ლარი - ფაქტი 2,1 ათ. ლარი (44%); არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოვიდა 0,1 ათ. ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავების შემოსავლების გეგმამ შეადგინა 20,0 ათ. ლარი - ფაქტი 10,0 ათ. ლარი (50%); ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე შემოვიდა 11,5 ათ. ლარი; შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების გეგმა 2,5 ათ. ლარი - ფაქტი 0; არაფინანსური აქტივების კლების გეგემა შეადგენდა 30,0 ათ.ლარს ფაქტი 4,3 ათ.ლარი (14%).

**გადასახდელები:** ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის II კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის გადასახდელების გეგმამ შეადგინა 12 791,3 ათ. ლარი და ფაქტიურად გაიხარჯა 6 219,4 ათ. ლარი (49%) აქედან:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების დაზუსტებულმა გეგმამ შადგინა 1 558,4 ათ. ლარი - ფაქტი 1 429,4 ათ. ლარი (92%); აქედან წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) ხარჯების გეგმა იყო 433,6 ათ. ლარი - ფაქტიურად გაიხარჯა 420,0 ათ. ლარი (97%); აღმასრულებელი ორგანოს (მერიისა და მასში შემავალი სამსახურების) ხარჯების გეგმა 1 037,9 ათ. ლარი - ფაქტი 955,2 ათ. ლარი (92%); სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის გეგმა 51,5 ათ. ლარი - ფაქტი 48,8 ათ. ლარი (95%); ასოცირებული საწევრო გადასახადის გეგმა 5,5 ათ. ლარი - ფაქტი 5.5 ათ. ლარი (100%).

ინფრასტრუქტურის განვითარება გეგმა 9 782,9 ათ. ლარი - ფაქტი 3 642,4 ათ. ლარი (37%). აქედან:

- გზების კაპიტალური შეკეთების ხარჯების გეგმა 3 248,9 ათ. ლარი - ფაქტი 1 820,3 ათ. ლარი (56%);
- გზების მიმდინარე შეკეთების გეგმა 148,6 ათ. ლარი - ფაქტი 134,2 ათ. ლარი (90%);
- წყლის სისტემის რეაბილიტაცია გეგმა 612,1 ათ. ლარი - ფაქტი 195,6 ათ. ლარი (32%);
- წყლის სისტემის ექსპლოატაცია 29,1 ათ. ლარი - ფაქტი 8,5 ათ. ლარი (29%);
- გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ხარჯების გეგმა 27,0 ათ. ლარი - ფაქტი 19,4 ათ. ლარი (72%);
- გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯი 114,6 ათ. ლარი - ფაქტი 113,9 ათ. ლარი (99%);

- კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში 5,0 ათ. ლარი - ფაქტი 1.4 ათ. ლარი (28%);

- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 50,0 ათ. ლარი - ფაქტი 36,0 ათ. ლარი (72%);

- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 500,2 ათ. ლარი - ფაქტი 193,8 ათ. ლარი (39%);

- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია გეგმა 2 289,1 ათ. ლარი - ფაქტი 187,3 ათ. ლარი (8%);

- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა გეგმა 331,6 ათ. ლარი - ფაქტი 212,5 ათ. ლარი (64%);

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამა გეგმა 422,2 ათ. ლარი - ფაქტი 57,0 ათ. ლარი (14%);

- სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია გეგმა 1 467,1 ათ. ლარი - ფაქტი 662,6 ათ. ლარი (45%);

დასუფთავება და გარემოს დაცა გეგმა შეადგენდა შესაბამის პერიოდში 274,0 ათ. ლარს, ფაქტი 252,8 ათ. ლარი (92%). აქედან:

- დასუფთავება და ნარჩენების გატანა გეგმა 246,0 ათ. ლარი - ფაქტი 246,0 ათ. ლარი (100%);

- მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება გეგმა 18,0 ათ. ლარი, ფაქტი 0,0 ათ. ლარი;

- უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები გეგმა 10,0 ათ. ლარი, ფაქტი 6,8 ათ. ლარი (68%).

განათლება: სკოლამდელი განათლება ბაგა-ბაღების დაფინანსების გეგმა 177,0 ათ. ლარი - ფაქტი 151,2 ათ. ლარი (85%);

- სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა 104,1 ათ. ლარი - ფაქტი 91,9 ათ. ლარი (88%);

- განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა 53,5 ათ. ლარი - ფაქტი 0,0 ათ.ლარი;

- საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა გეგმა 115,3 ათ. ლარი - ფაქტი 104,1 ათ. ლარი (90%).

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 510,0 ათ. ლარი - ფაქტი 364,3 ათ. ლარი (71%). აქედან:

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი გეგმა 74,0 ათ. ლარი - ფაქტი 67,1 ათ. ლარი (91%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონი გეგმა 43,0 ათ. ლარი - ფაქტი 33,7 ათ. ლარი (78%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის გეგმა 26,2 ათ. ლარი - ფაქტი 26,0 ათ. ლარი (99%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა გეგმა 28,0 ათ. ლარი - ფაქტი 27,7 ათ. ლარი (99%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის ცენტრის დაფინანსების გეგმა 89,0 ათ. ლარი - ფაქტი 84,8 ათ. ლარი (95%);

- მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაფინანსება გეგმა 36,7 ათ. ლარი - ფაქტი 28,4 ათ. ლარი (77%);

- ბიბლიოთეკის დაფინანსების გეგმა 42,4 ათ. ლარი - ფაქტი 34,8 ათ. ლარი (82%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის დაფინანსება გეგმა 24,6 ათ. ლარი - ფაქტი 18,7 ათ. ლარი (76%);

- კულტურული ღონისძიებების დაფინანსება გეგმა 75,8 ათ. ლარი, ფაქტი 19,4 ათ. ლარი (26%);

- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა გეგმა 41,9 ათ. ლარი, ფაქტი 0,0 ათ. ლარი;

- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება გეგმა 28,4 ათ. ლარი - ფაქტი 23,8 ათ. ლარი (84%).

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 216,1 ათ. ლარი - ფაქტი 183,4 ათ. ლარი (85%). აქედან:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება გეგმა 29,0 ათ. ლარი - ფაქტი 16,4 ათ. ლარი (57%);

- სოციალური უზრუნველყოფა გეგმა 187,1 ათ. ლარი - ფაქტი 166,9 ათ. ლარი (89%).

**სარეზერვო ფონდიდან** მიმდინარე პერიოდში გაიხარჯა სოფელ უწერაში თოვლისა და ძლიერი ყინვის შედეგად დაზიანებილი მდინარე ბეღლორზე წყლის სისტემის სათავე ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოზე 5,0 ათ. ლარი; სოფელ ჭვებარში მცხოვრები ორი სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის სასაჩუქრე კალათების შეძენა 0,2 ათ. ლარი; სპორტსმენთა წახალისებასა და ხელშეწყობის მიზნით (მირიან მაისურაძე, თორნიკე სამხარაძე 500-500 ლარი და გიორგი ჩიხრაძე 300 ლარი) 1,3 ათ. ლარი; უკრაინაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად ჰუმანიტარული ტვირთის: საკვები პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების სხვა ნივთების შესყიდვა 5,0 ათ. ლარი; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დაუნის სინდრომის მქონე პირთათვის სასურსათო კალათების შესაძენად დაუნის სინდრომის დღესთან დაკავშირებით 0,3 ათ. ლარი; ობოლ ბავშვთა და სოციალურად დაუცველი შშმ პირთათვის (მარტოხელა) სასაჩუქრე კალათების შეძენა 2,4 ათ. ლარი; სკოლის მოსწავლეებთან სალექციო კურსის ფარგლებში გასამართი კოფი ბრეიქისათვის 0,1 ათ. ლარი; დიზაინის მომსახურების შესყიდვა (სახელმწიფო გერბი) 0,2 ათ. ლარი; სოფელ უწერაში მცხოვრები 100 წლის ქალბატონის სასაჩუქრე კალათის შეძენა 0,1 ათ. ლარი; მუნიციპალიტეტში ოფიციალური პირების სტუმრობის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით დაბეჭდილ ბანერს რკინის კონსტრუქციაზე მოწყობა 0,9 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის (01.07.2022წ.) ნაშთი შეადგენდა 5 984,1 ათ. ლარს. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან 2 825,3 ათ. ლარს და საკუთარი შემოსავლებიდან 3 158,7 ათ. ლარს.

შემსრულებელი: /თინათინ ბროლაშვილი/

/ნინო მეტრეველი/